

საქართველოს კანონი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №47, 28.12.2009, მუხ. 361) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-7 მუხლს მე-11 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 11¹ ნაწილი:

„11¹. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ¹“ და „ბ²“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სსიპ-ებისთვის/ა(ა)იპ-ებისთვის სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული ვალდებულებების იძულებით აღსრულების პროცესში, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან ჩამოჭრილი თანხები, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშებზე არ გააჩნია შესაბამისი ნაშთი, ასახოს შესაბამისი დონის ბიუჯეტში ამ მიზნით წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისთვის გათვალისწინებული პროგრამული კოდიდან.“.

3. 28-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები. ორივე ფონდის მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 1%-ს. ამ კოდექსით დადგენილი წესით სარეზერვო ფონდების მთლიანი მოცულობის გაზრდა შესაძლებელია თითოეულის დამტკიცებულ მოცულობასთან შედარებით არაუმეტეს 20%-ით.“.

4. 34-ე მუხლის:

ა) მე-5 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) ინფორმაციას „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების ზღვრული მოცულობების ფარგლებში, პროგნოზირებული ძირითადი ფისკალური მაჩვენებლების შესახებ.“;

ბ) მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის

ურთიერთშესაბამისობას. საქართველოს სამინისტროები უზრუნველყოფენ ამ მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე დამტკიცებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტთან და წლიური ბიუჯეტის კანონთან შესაბამისობას.“.

5. 38-ე მუხლის:

ა) მე-3 ნაწილს „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ¹“ ქვეპუნქტი:

„დ¹) ინფორმაციას „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების ზღვრული მოცულობების ფარგლებში, პროგნოზირებული ძირითადი ფისკალური მაჩვენებლების შესახებ;“;

ბ) მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობას;“;

გ) მე-3 ნაწილს „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) მუნიციპალიტეტებისთვის განკუთვნილი დამატებული ღირებულების გადასახადის მთლიანი მოცულობიდან თითოეული მუნიციპალიტეტის წილის პროცენტულ მაჩვენებელს.“.

6. 56-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ინფორმაციას საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულების მდგომარეობის შესახებ (მათ შორის, საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის დაუფარავი სახელმწიფო ვალეების შესახებ);“;

ბ) პირველ ნაწილს „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები:

„კ) მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ საგადასახადო შემოსავლებს;

„ლ) ინფორმაციას „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების ზღვრული მოცულობების ფარგლებში, ძირითადი ფისკალური მაჩვენებლების შესრულების შესახებ.“.

7. 66-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული დამატებული ღირებულების გადასახადი და საქართველოს კანონმდებლობით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები.“.

8. 68-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში იქმნება წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.“.

9. XI თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი XI. მუნიციპალიტეტების კუთვნილი დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება“

10. 71-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 71. მუნიციპალიტეტების კუთვნილი დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების წესი

1. მუნიციპალიტეტებზე დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება ხორციელდება ამ კოდექსის დანართის (შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით) ცხრილის მე-4 გრაფით მუნიციპალიტეტებისათვის გათვალისწინებული მაჩვენებლის ფარგლებში.
2. ამ მუხლის შესაბამისად დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება ხორციელდება ყველა მუნიციპალიტეტზე, გარდა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 164-ე მუხლით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტებისა;
3. დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება ხორციელდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის, 6 წლამდე ბავშვების რაოდენობის, 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობის, მუნიციპალიტეტის ფართობის და მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრების სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის მიხედვით, კერძოდ, მუნიციპალიტეტებისთვის განკუთვნილი დამატებული ღირებულების გადასახადის:
 - ა) 60% ნაწილდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიხედვით;
 - ბ) 15% ნაწილდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6 წლამდე ბავშვების რაოდენობის მიხედვით;
 - გ) 10% ნაწილდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე მოზარდების რაოდენობის მიხედვით;
 - დ) 5% ნაწილდება მუნიციპალიტეტის ფართობის მიხედვით;
 - ე) 10% ნაწილდება მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრების სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის მიხედვით;

4. წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადებისას, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად გაიანგარიშებს და წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახავს მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრული დამატებული ღირებულების გადასახადიდან თითოეული მუნიციპალიტეტის კუთვნილი წილის პროცენტულ მაჩვენებელს;
5. საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 164-ე მუხლით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტებს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი და მისი მოცულობა განისაზღვრება შესაბამისი წლის ბიუჯეტის კანონით.“.

11. 72-ე, 73-ე და 74-ე მუხლები ამოღებულ იქნეს.

12. 76-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

13. 77-ე მუხლის:

ა) მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან განსახორციელებელ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ დაფინანსებას, აღწერას და მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებს;“;

ბ) მე-10 ნაწილს „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) დამატებითი ინფორმაცია ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.“.

14. 91-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში იქმნება წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.“.

15. 114-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ¹“ და „ბ²“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის ამ კოდექსით განსაზღვრული დებულებები საჯარო სკოლებსა და ადრეული

და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე/სკოლამდელი აღზრდის სხვა დაწესებულებებზე გავრცელდეს 2021 საბიუჯეტო წლისათვის.“;

ბ) პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ ნაწილი:

„1¹. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, კომპეტენციების გათვალისწინებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებთან, ასევე მუნიციპალიტეტებთან კონსულტაციების გზით, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ვადაში, უზრუნველყოს ამავე ნაწილით გათვალისწინებულ დაწესებულებებზე ეტაპობრივად გავრცელოს ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ¹“ და „ბ²“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის ამ კოდექსით განსაზღვრული დებულებები.“.

16. 114⁵ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 114⁵ გათანაბრებითი ტრანსფერის სისტემიდან დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების სისტემაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი

1. გათანაბრებითი ტრანსფერის სისტემიდან დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების სისტემაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი განისაზღვროს 2019 წლიდან 2023 წლამდე;

2. 2019 წელს თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების შედეგად მისაღები თანხის საპროგნოზო მაჩვენებელი, 2018 წელს ამავე მუნიციპალიტეტის გათანაბრებითი ტრანსფერისა და ამ კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის ჯამურ მაჩვენებელს არ უნდა აღემატებოდეს 25%-ზე მეტით;

3. ამ მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულ პროცენტულ მაჩვენებელზე მეტი რესურსი ამ მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიიმართება იმ მუნიციპალიტეტების შემოსავლებში, რომელთა მიერ მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი ნაკლებია 2018 წელს ამავე მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული გათანაბრებითი ტრანსფერისა და ამ კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე პროგნოზირებულ საშემოსავლო გადასახადის ჯამურ მაჩვენებელზე;

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული რესურსის განაწილება ამავე ნაწილით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტებზე ხორციელდება იმ პროპორციით, რა ხვედრითი წილიც აქვს თითოეული მუნიციპალიტეტის შემოსავლების დანაკლისს ყველა მუნიციპალიტეტის დანაკლისის ჯამურ მაჩვენებელთან;

5. 2020-2023 წლებში, წინა წელთან შედარებით თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების შედეგად მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მოცულობის ზრდის მაქსიმალური პროცენტული მაჩვენებელი განისაზღვრება წლიური ბიუჯეტის კანონით;

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე განსაზღვრული მაჩვენებელი თითოეულ წელს არ უნდა იყოს 25%-ზე ნაკლები;

7. ამ მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად განსაზღვრულ პროცენტულ მაჩვენებელზე მეტი რესურსი ამ მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიიმართება იმ მუნიციპალიტეტების შემოსავლებში, რომელთა მიერ მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე.

8. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახვის მიზნით, თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადის პროცენტული მაჩვენებლის გაანგარიშებას ახორციელებს ამ კოდექსის 71-ე და 114^ე მუხლების შესაბამისად.“.

17. დანართის (შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით) ცხრილის:

ა) პირველი გრაფის 1.1 და 1.2 გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

N	შემოსულობების დასახელება	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი	აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები	ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტები
1.1	საშემოსავლო გადასახადი, გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაბეგრი ობიექტების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადისა	100		
1.2	ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაბეგრი ობიექტების		100	

N	შემოსულობების დასახელება	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი	აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები	ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტები
	მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი			

ბ) 1.3 გრაფა ამოღებულ იქნეს;

გ) მე-4 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

N	შემოსულობების დასახელება	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი	აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები	ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტები
4	დამატებული ღირებულების გადასახადი ¹	81		19

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

¹ ამ ცხრილის მე-4 გრაფით განსაზღვრული დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მიღებული შემოსავლების 19% წარმოადგენს ყველა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის გასანაწილებელი გადასახადის ჯამს, რომელიც თითოეულ მუნიციპალიტეტზე ნაწილდება ამ კოდექსის 71-ე და 114⁵ მუხლებით განსაზღვრული წესით